სტამბა და რედაქცია: ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და ,,წერა-კითხვის გამ. საზოგადოების" წიგნის მაღაზიას.

ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ-დღე.

ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი

მთელის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.

თითო ნომერი 3 კაპეკი

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ. მეოთხეზე 4 კაპ.

Типографія и Редакція

,,ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ"

Тифлисъ, Дворцовая д. Дворянства

Телефонъ № 363



საზაფხულო თეატრი

## ,,ერმიტაჟი"

ყოველ-დღიური წარმოდგენა

სხვა-და-სხვა დასისა.

1) ორკესტრი კაპელა

2) მალოროსიული სიმღერები

3) ერტელ დე-დესაუ მომღერალი ქალი

4) ციგანკა აჟა დაუკრავს გიტარაზე და დამღერს

5) ცოლ-ქმარი მილინი სხვა-და-სხვა სიმღერები

6) კუპლეტისტი მოცეკვავე საშინი

7) გ. ბერლავსკი—ცნობილი მომღერალი კუპლეტებისა

8) ლ. არკადოვი—კომიკური კვარტეტი სიმღერებისა.

ბაღში მუდმივ მზად არის სადილ-ვახშამი ფასი ყველაფრისა ზომიერი სასმელები ყოველ-ნაირი და იაფი სიმარდე მოსამსახურეთა და სიწმინდე ყველაფრისა

ხორაგი ახალი

ბაღის პატრონი ს. არუთინოვი.

Лѣтній садъ и театръ

,,ЭРМИТАЖЪ"

Ежедневно представленіе, развлеченіе, разнообразные нумера.

**Изящные новинки. Образцовый буфетъ. Чистата, дешевизна, предупредительность.**

Администр. Г. В. Барлявскій Содерж. сада С. Г. Арутиновъ.

## ,,ალმოსავლეთის მაღაზია"

### იოსებ მერკვილაძისა

ლორის-მელიქოვის ქ., ზუბალოვის სახ. № 4, სემინარიის პირდაპირ.

ხელ-ახლად მივიღეთ საუცხოვო: იმერული, მეგრული, დიგორული და ლეკური **შალები, საკაბეებათ** და **საჩოხეებათ.** აქვეა **ნაბდები ქალისა** და **კაცისა,** ჩაბალახები, ქამარ-ხანჯალი, მრავალი სხვა-და-სხვა **დანები, თუშური ნაბდის ქუდები** და სხვა სამკაული.

მაღაზიას აქვს

სამაგალითო ქართული (იმერული) ცნისამოსის სიმკერვალო

ფასი ყოველიფერზე ზომიერი და დაკლებულია. (20—17)

მევენახეთა საყურადღებოდ

## ვერმორელის აპარატები

(ვაზის სასხურებელი)

ადგილობრივ გაკეთებული და გაუმჯობესებული

გთხოვთ მიაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება:
ჩემ გაკეთებულ აპარატებზე ამოჭრილია შემდეგი წარწერა:

Механическое Водопроводное Заведеніе
**С. И. Лазарева**
მეხანიკური ქარხანა ს. ი. ლაზარაშვილისა

**ფასი ყველასათვის ხელ-მისაწდომია**

ჩვენ მიერ გაკეთებული აპარატები უფრო ბურჯიანი და გამძლეა, ვიდრე საზღვარ-გარეთელი, რაშიაც ვსთხოვ ყველას დარწმუნდნენ.

მსურველნი მიჰმართავენ: Тифлисъ, Сергіевская ул. д. Кетхудова № 9. (10—6)

## განიხვრა და დაფასება

ტყიან მამულებისა

## დაფასება სამეურნეო შემოსავლისა

მამულის გეგმის შედგენას და სხ.

კისრულობს ალექსი გრიგოლის მე **სნეჟკოვი,** ლაბორატორიის ქუჩა № 26.

Алексѣй Григорьевичъ Снѣжковъ,
Лабораторная, № 26. (50—3)

## ექიმი

### კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

შლისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.

Докторъ **К. И. Гдзелишвили.**
Михайловская, противъ кирки. (100—1)

## ექიმი

ე. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველდღე დილის 11—12 საათ. და საღამოს 6—7-მდე

მიხეილის ქუჩა, № 6.

Докторъ **К. М. Чиковани**
Михайлов., № 6.

## იყიდება ქირით და ფასითაც

## ორ-სართულიანი სახლი

12 ოთახი თავის მოწყობილებით და სამზარეულოთი

ვერაზე, მატერიალნი ქუჩა, ბუხარაშის სახლი,

პირობების შეტყობა იქვე. (3—1)

გამოვიდა ð იყიდება

„ცნ. ფურც."-ს გამოცემა № 2

თავ.

## ილ. ჭავჭავაძე

(წერილი ხალხისათვის)

ნადიკვრელისა

ფასი **2** კაპ.

ასი ცალი იყიდება 1 მ. 30 კ.

ორასი — — 2 მ. 20 კ.

სამასი — — 3 მ.

მსურველნი მიჰმართავენ „ცნობის ფურცლის" რედაქციას.

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს **ფ. ა. გერრატი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ — დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას — **ი. ა. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница С. В. Топуріа* въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

** **ქართული სამკითხველო ბაქოში.** როგორც შევიტყეთ ნამდვილის წყაროდან, ბ-ნ მკერვალიშვილს ნება-რთვა აუღია მთავრობისაგან ქართულ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დასაარსებლად ქ. ბაქოში. ამოურჩევიათ დროებით მზრუნველნი წევრნიც და შესდგომიან საქმეს. ღმერთმა ხელი მოუმართოთ. იმედია, აქაც არ იჩენს თავს ჩვენებური ყოყლოჩინაობა, შენ-ჩემობა და ყველა ბაქოელი ქართველი. დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ღარიბი და მდიდარნი თანხმობით წაიყვანენ ამ სასარგებლო საქმეს.

** **საქველ-მოქმედო დაწესებულებათა წლიური ანგარიშები.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოუგზავნა კავკასიის მთავარ მართებლის კანცელარიას და კავკასიის გუბერნატორებს ცირკულიარი, რომლითაც სამინისტრო საჭიროდ სცნობს მიღებულ იქმნეს ჯეროვანი ზომები იმის შესახებ, რომ წლიური ანგარიშები თავის დროზე წარედგინოს ხოლმე სამინისტროს ყველა კერძო საქველ-მოქმედო დაწესებულებათაგან და უთუოდ წლის პირველ ნახევრის განმავლობაში საანგარიშო წლის შემდეგ.

** თავ. გ. დ. შერვაშიძეს, ეგერმეისტერს მისი უდიდებულესობის სასახლისას, ნება მიეცა ორი თვით საზღვარ-გარეთ წავიდეს.

** **ბ. ვ. ლ. ველიჩკოს ლექცია.** 25 აპრილს „ტფილისის კრუჟოკში" გაზ. „კავკაზის" რედაქტორმა ბ. ვ. ლ. ველიჩკომ წაიკითხა, მოუსავლობით დაზარალებულთა სასარგებლოდ, თავისი ლექსი „შიმშილობა" და საჯარო ლექცია: „მწერალი და მისი ბრძოლა სულიერ თავისუფლებისათვის". დარბაზი სრულიად ავსებული იყო ხალხით. მსმენელები, რომელთა შორის იყვნენ წარმომადგენელნი სხვა და სხვა უწყებისა, უმაღლესი საზოგადოებისა და მოსწავლე ახალგაზდობისა, ლექციას დიდი თანაგრძნობით მოეკიდნენ და ავტორს ტაშს უკრავდნენ. ლექცია დასრულდა საღამოს 9¾ საათზე.

** **მეაბრეშუმეთა დაჯილდოვება.** მიწათ-მოქმედების სამინისტრომ აუწყა კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურს, რომ ამ გაზაფხულზე გასამართავ მეაბრეშუმეობის კონკურსებისათვის მას დანიშნული აქვს ექსპონენტებისათვის დასარიგებლად 10 პატარა ვერცხლის მედალი და 10 ბრინჯაოსი.

** **წლიური აქტი 1-ლ საქალებო გიმნაზიაში.** 26 აპრილს 1-ლმა საქალებო გიმნაზიამ იდღესასწაულა თავისი არსებობის 33 წლის თავი ჩვეულებრივი წლიური აქტით, რომელსაც დაესწრნენ: საქართველოს ექსარხოსი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი, ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი, მოწაფეთა მშობლებ-ნათესავები და გარეშე საზოგადოება; გიმნაზიის დირექტორის მიერ წაკითხულ ანგარიშიდან სჩანს, რომ მას შემდეგ, რაც გიმნაზია არსებობს, მასში კურსი დაუმთავრებია 1,167 მოწაფე ქალს. შარშან გიმნაზიაში ყოფილა 950 მოწაფე; მათ შორის 410 რუსი, 276 სომეხი, 140 ქართველი, 50 ებრაელი, თათარი 1 და 54 სხვა ეროვნებისანი; შარშან კურსი დაუმთავრებია 61 მოწაფეს, რომელთაგან 30 რუსი ყოფილა, 13 სომეხი, 9 ქართველი, 4 ებრაელი და 5 სხვ.

** **შავი-ქვის მწარმოებელთა შუამდგომლობის შეუწყნარებლობა.** „პეტ. ვედ."-ის სიტყვით, სატარიფო კომიტეტს არ შეუწყნარებია შავი-ქვის მწარმოებელთა შუამდგომლობა შავი-ქვის გადატანაზე გადასახადის დაკლების შესახებ.

** **ცეცხლის წაკიდება.** გაზეთ „კავკაზ"-ს ატყობინებენ, რომ სიღნაღის მაზრაში, თავ. ზაქარია ანდრონიკაშვილის ძველის ხის სახლს ცეცხლი წაეკიდა. სახლი სულ მთლად გადაიბუგა და შიგ

დაიწვა ჩალაუბნის მცხოვრები ანდრია ბეციაშვილი, რომელსაც იმ დროს სძინებოდა.

* * * **ჩაის ყანები კავკასიაში.** რადგან კავკასიაში ჩაის ყანებმა ძალიან იხეირა კერძო პირთა ხელში, ამის გამო მიწად-მოქმედების სამინისტროს განსახილველად აღიძრება კითხვა ამ სამეურნეო დარგის გასაძლიერებელ ზომების შემუშავების შესახებ.

* * * **განჯა.** **შვილისაგან მამის მოკვლა.** 23 აპრილს, ნიკოლოზ მელიქ-შახნაზაროვმა თოფით მოკლა თავისი ღვიძლი მამა გრიგორ ბეკი. მკვლელმა აღიარა დანაშაული და დასძინა, მამა ჩემი მემუქრებოდა მოკვლას და დედა გამილახაო.

* * * **გუდაუთი** (აფხაზეთი). **შეკრულია ხიდის გამო.** სოხუმს შუა და გუდაუთს შუა მდინარეა სახელად ბაკლანკა, როცა მოდიდდება, შიგ გასვლა შეუძლებელია. ამ მდინარეზე აგერ ორი თვეა რაც რკინის ხიდი გააკეთეს, მაგრამ ზედ ეტლებს და დილიჟნებს არ უშვებენ, რადგანაც ჯერ იჯარადრებს არ ჩაუბარებიათ, მდინარეკი თან და თან მატულობს, რადგანაც მთებში თოვლი დნება, და მიმოსვლა გასჭირდება თუ დროზე არ მიეცა მეტლეებს ხიდზე სიარულის ნება. იმედია ჩვენი ნაწილის უფროსი ბ-ნი ჩიქოვანი ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას.

— **ამინდი.** ეს ორხი დღეა განუწყვეტლივ სწვიმს, თან სეტყვაც გამოურია. ყვავილი ისევ მძვინვარებს.

მაჭახელა

* * * **გუდაუთა** (აფხაზეთი). **მადლობის გამოცხადება.** ბატონო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ მღ. ი. ჩაჩანიძეს, რომელმაც კეთილ ინება და ჩვენს ღარიბს უფასო სამკითხველოს თავის ხარჯით დაუკვეთა მთელი წლით აკაკის „კრებული“ აგრეთვე მადლობას უცხადებთ: „კვალის“ „ივერიის“ „Новое Обозрѣн“-ის “Кавказ“-ის და „მოამბის“ რედაქციებს, რომლებმაც დაგვითმო ნახევარ ფასით თავიანთი ჟურნალ-გაზეთები.

გუდაუთის უფასო სამკითხველოს გამგენი: ნადეჟდა გვაზავა ერ. ებრაელიძე.

* * * **დ. ბარცხანა** (ბათომი). **ცრუ ექიმის ოინები.** დ. ბარცხანის მცხოვრებმა ე. კ—ძემ თხოვნა წარუდგინა ბათომის განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლეს იმის შესახებ, რომ გადახდეს მის სასარგებლოდ ბათომში მცხოვრებ ქალს დუდუხანა სულთანოვისას 15 მან. ზარალითურთ. თხოვნასთან ერთად წარდგენილ პირობიდან სჩანს, რომ დუდუხანა სულთანოვისას უკისრნია კ—ძის ცოლის უშვილობისაგან განკურნება, იმ ვალდებულებით, რომ ერთი წლის განმავლობაში მას შვილი ჰყოლოდა. კ—ძე დაჰპირებია სულთანოვისას 30 მანეთს, რომლიდანაც 15 მან. წინდაწინვე გადაუხდია, ხოლო 15 მანათი უნდა გადაეხადნა მაშინ, როცა შვილი მიეცემოდა. სულთანოვისაგან სრულიად დარწმუნებულ კ—ძეს თავისი ცოლი ოზურგეთის მაზრიდან ბათომში ჩაუყვანია და დაუწყია შვილის დაბადებისათვის ლოდინი. მაგრამ პირობის შეკვრის შემდეგ გასულა წელიწადი მეტი, მას მაინც კიდევ შვილი არ ღირსებია და ბოლოს უთხოვნია სულთანოვისათვის ფულის დაბრუნება; ქალს ამ თხოვნაზე უარი განუცხადებია და ამიტომაც კ—ძეს კანონისათვის მიუმართნია: მომრიგებელმა მოსამართლემ საქმე პოლიციას გადასცა სულთანოვის ქალის მოსაძებნად და სამართალში მისაცემად. („ჩერნ. ვესტ.“).

* * * **სამტრედია.** **დამხრჩვალების პოვნა.** სამტრედიის სანავოზე იპოვეს პატარშაფათის დამხრჩვალი ყმაწვილი კაცი და ს. ჭყუშში ერთი ახალგაზრდა ქალი.

— — **სიმინდის ფასის აწევა.** სიმინდის ფასის აწევამ აქ ცოტათი სიცხოველე გამოიწვია. ფუთი სიმინდი აქ 53 კაპიკი ღირს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კიდევ მოიმატებს ფასს. რითაც ცოტათი მაინც გასწორდება ჩვენის მეურნეთა თუ გლეხ-კაცთა საქმე.

ანტონასშვილი

* * * **ქ. ბაქო.** **საზიზღარი საქციელი.** აქ მოხდა შემდეგი შემაძრწუნებელი საქმე. სასტუმრო „ორიანტ“-ში, სხვათა მრავალთა მოსამსახურეთა შორის მსახურებდა ცამეტ-თოთხმეტი წლის იმერელი ბიჭი, რომელიც მოტყუებით დაათვრეს და მიჰყიდეს ორ თათარს, რომელთაც ეწვალებინათ ბიჭი... საბრალო ბიჭმა ყველაფერი აღიარა ფერშალთან და სხვებთანაც. ბოროტ-მოქმედნი ფულის შემწეობით აპირობდნენ თავის დაძვრენას, მაგრამ მათდა სასირცხვოთ და საუბედუროდ მათმა საზიზღარმა საქმემ თავი არ დამალა და გამოაშკარავდა. თუმცა ძლიერ ცდილობდნენ დაეფარათ, მაგრამ ფერშალმა ბ-ნმა ალექსანდრე მაღრაძემ, რომელიც მიიწვიეს დასახიჩრებულის ბავშვის გასასინჯავად (შემდეგ ერთის მოხუცი ექიმისა, რომელმაც არ ვიცით რა მიზეზით, არ გადასცა ეს საქმე სადაც ჯერ არს), გასინჯა და მაშინვე აცნობა ნაწილის ბოქაულს, რომელიც გაჰყვა, მაგრამ ბ-ნმა ა. მაღრაძემ შეატყო ბოქაულს, რომ გულ-გრილად ეკიდებოდა საქმეს, მაშინვე აცნობა პოლიცმეისტერს, ამან მოახდინა განკარგულება და დღეს ეს საქმე გამომძიებლის ხელშია და ცოცხალ-მკვდარი ბიჭი საავადმყოფოში წევს. ბავშვი ნახული ჰყავს აგრეთვე ექიმს ელიაშვილს. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ამ საზიზღარი საქმის ჩამდენთ სასტიკად მოეპყრობა კანონი და დაისჯებიან უმზგავსი საქციელისათვის.

სტუმარი

* * * **ს. გორა** (იმერეთი). **მაზარალებელი გზები.** გორაში ირიცხება 300-მდე კომლი მცხოვრები, თვით სოფელი მდებარეობს ქუთაისიდგან ოცდა ხუთის ვერსის მოშორებით. გორა თუმცა ბუნებით უხვად დაჯილდოვებულია, მაგრამ რამდენადაც დაჯილდოვებულია, იმდენათვე დამახინჯებულია უგზოობის გამო, თვით სოფელში ისე არის წამხდარი გზები ტალახითა და ბოგირების უქონლობის გამო, რომ ყოვლად შეუძლებელია კაცმა მახლობელ ბაზარზე (ქუთაისში და ბაღდათში) გაიტანოს რამ გასასყიდლათ. ამასაც რომ თავი დავანებოთ, მთელ ზამთრის განმავლობაში უმეტესობა, რომლებიც ეკკლესიის ახლოს არ სცხოვრობენ, ეკკლესიაში მიუსვლელად და წირვის მოუსმენელად რჩებიან. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს, მაგრამ ვისგან? იმედი გვქონდა ახლად დაყენებული მამასახლისის, მაგრამ ის ამისთვის ყურსაც არ იბერტყს, ან რათ გაიბერტყს ყურს, როცა ამას, მასზედ უფროსები ყურადღებას არ აქცევენ.

იმედია, აწი მაინც ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას, ვისგანაც ჯერ არს და გასცემენ ბრძანებას, სოფლის ხალხის გამოწვევით, გზის შეკეთებისას და მით გაუადვილებენ თავიანთ საქონლის ბაზარზე გასაყიდათ გატანას.

# რედაქციისაგან

**სუფსაში.** თ. ს. ს. თქვენი წერილი ორ პირველ კაცზე ივანიკა და პეპუზე არ დაიბეჭდება, რადგან დასაბუთებული არ არის.

**სოხუმში.** პ. კ. ა. ლ. ს. თქვენი წერილი ნიგოითის მამასახლისზე ვერ დაიბეჭდება რადგან ყოველი ბრალდება საჭიროა დამოწმებული და დამტკიცებული იყოს, თქვენ კი საბუთს არას გვაძლევთ.

**გუდაუთში.** ე. ს. ე. ბ-ძ. ე. ს. ზოგი დაიბეჭდა და ზოგი აღარ დაიბეჭდება

**ტფილისში.** კ. ო. ნ. ა. ძ-ც. ე. ვ. ე. ლ. ს. წერილი კუკიის სასაფლაოს შესახებ დიახაც საყურადღებოა, მაგრამ დაბეჭდვით ვერ დავბეჭდავთ.

**კონჭკათი.** მ. ჟ. ა. ვ. ი. ა. ს. ეკკლესიის შემოწირულობაზე უნდა მღვდელი სწერდეს და არა მრევლი.

## სამეურნეო ცნობანი

**ქიის სნეულებანი და მათთან ბრძოლა.**

**პებრინა.** ვისაც ჭიები გყავთ დაუკვირდით რამდენი ფეხები აქვს თითოეულს თქვენს ჭიას და რამდენი წერტილები აქვს გვერდებზედ. თავთან ახლო აქვს სამი წყვილი ნამდვილი ფეხები და მუცელზედ ოთხი წყვილი. ამ ოთხ წყვილ ფეხებს ჰქვიან ცრუ ფეხები, რადგანაც ის ფეხები მარტო ჭიასა აქვს და როცა ის ბოჟად იქცევა (куколка) და შემდეგ პეპლად გამოდის, ეს ფეხები იკარგება. სამი წყვილი ფეხები თავთან ახლო სამუდამოა. გვერდებზედ რომ რვა წყვილი შავ-შავი წერტილები არის ეს სასულეა, ამით სუნთქამს ჭია. თუ რომ ცრუ ფეხებზედ შეატყვეთ შავ-შავი წერტილები, ამის მსგავსი წერტილებიც თუ ურიგოთ მოფანტულია ზურგზედ, ეს ნიშანია იმის, რომ ჭია ავათ არის პებრინით და იმავე წამში უნდა გადააგდოთ ძალიან შორს ან დაწვათ ცეცხლში სენ შეყრილი თუ თესლში მყოფი ჭია პევრი ნიანია, თესლებიდგან გამოდის სუსტათ, რომელიც გამოვა რამოდენიმე საათის შემდეგ იხოცება და თუ არ დაიხოცა, შეეტყობა მაინც წინწკლების გამოჩენამდი დიდი უმადობა ჭამაში, ერთად კანს არ იცვლიან. ზოგნი დიდნი არიან და ზოგნი პატარაები. ამ ნაირი უსწორ-მასწორობა ნიშანია სენის. ეს სენი ავეჯეულობას და ტანისამოსს გადაჰყვება, და ამიტომ სახლში (საყაჭეში) არ უნდა შეუშვათ ისეთი პირები, რომლებსაც სენიანი ჭია ჰყავს. დაიკავეთ ყაჭები რაც შეიძლება თხლათ.

ნ. მკურნალი

## სამკურნალო დარიგება.

წითელისა და ყელ-ჭირვების რჩევა. ყელ-ჭირვება გაირჩევა წითელისაგან შემდეგი ნიშნებით: ყელ-ჭირება იწყება ყელის სიმსივნით, სიცხით, ბოდვით და ძრიელ ციებით; წითელა-კი სურდოთი, ხველებით· თვალების სიწითლით და შეცივნებით. ყელ-ჭირვებით ავათმყოფს ამოსდის შმორის სუნი, წითელიანს-კი ბატის დამწვარი ფრთებისა. პირველათ ავათმყოფს მუწუკები მეორე დღესვე გამოსდის, წითელიანს კი მეოთხე დღეზე. პირველის მუწუკები განიერი და წითლებია, მეორისა-კი მრგვალი და სისხლის მზგავსი, ყელ-ჭირებით ავათმყოფს მუწუკების გამოსვლის შემდეგ ციება და ყელის ტკივილი ემატება, წითელიანს-კი აკლდება. პირველით ავათმყოფს მუწუკები 4 დღის შემდეგ [illegible] წითელიანს კი-5-7 დღის უკან. ყელ-ჭირება უფრო საშიშია [illegible] წითელა თუმცა ეს უკანასკნელიც ხშირად ძრიელ გამწვავდება ხოლმე. კარგი მოვლა ავათმყოფისა და სასტიკად შესრულება ჰიგიენური კანონებისა ძრიელ შველის ავათმყოფს. ყელ-ჭირებით ავადმყოფი უნდა იწვეს ლოგინში, სუფთა ოთახში კარგი ჰაერით. ყელის ტკივილი შეიძლება გაიდევნოს სველი ცივი ტილოებით, ყაბზობა ოყნით, წუურვილი ცივი წყლის დალევით ან შაქარ-წყლით, ლიმონის, ფორთოხლის და სხვ... ხილის წვნით. საჭმელად რძე, მოხარშული ხილი და სხვ... კარგა მოქმედობს ცივ-წყალში ბანებაც. თუ ავათ-მყოფს ჭამის მადა არა აქვს, უნდა ძალათ აჭამონ. როცა ციება უკლებს, წყურვილი დგება და იწყობა მუწუკების დაცვივნა, ავთმყოფი ისევ ლოგინში უნდა იწვეს და სვას ჩაი შაქრით და რძით. მორჩენის დროს უნდა ერიდოს ძნელად მოსანელებელი საჭმლის ხმარებას, სიცივეს და სხვ... საცვლები სიფრთხილით უნდა უცვალონ; ჩაასაცვამი მშრალი და გამთბარი ტილოს საცვლები. მორჩენის შემდეგ დეზინფექცია უნდა ლოგინს, ტანისამოსს, საცვლებს ოთახს და ავეჯეულობას.

წითელით ავათმყოფს ისევე უვლიან და არჩენენ, როგორც ზევით იყო აწერილი. ნამეტნავად მუწუკების დაცვივნის დროს უნდა ყური უგდონ ავათმყოფს, რომ იგი არ გაცივდეს, არ აღელდეს და ფარეზობას თავი არ გაანებოს; უნდა გაიდევნოს ყველა, რაც კი ოფლის გამოსვლას უშლის, მაგრამ ძალათი ოფლის გამოყვანა არვარგა.

ქ. გაბო

ქიზიყის მომხმარებელ საზოგადოების

**დეპო**

აუწყებს თვისს წევრებს, რომ მომავალ **მაისის 3-ს** მოჰხდება დეპოს საზოგადო კრება ს. ქვემო-მაჩხაანში, დეპოს დარბაზში, დილის 9 საათ[ზე].

საგანი კრებისა:

I. წარსულ წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;

II. სხვა-და-სხვა ღონის-ძიებათა დასახელება დეპოს წევრთა გამრავლებისათვის და თანხა-ალებ-მიცემობის გაძლიერებისათვის;

III. მომავალ წლისათვის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა და სამოქმედო გეგმის განხილვა;

IV. წარსულ კრებისაგან ამორჩეულ კომისიის დადგენილობათ მოსმენა და დამტკიცება;

V. გამგეობა-რევიზიის წევრთა ამორჩევა;

VI. სოფლის მეურნეთა სხვა-და-სხვა ჭირნახულისათვის სამაზრო ამბარ-საწყობთა დაარსების შესახებ ყველას აზრთა მოსმენა.

გამგეობის თავმჯდომარე: დ. ნადირაძე

(2 2) წევრნი გამგეობისა: დ. ჯავაშვილი, ი. გომელაური

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на

*новое роскошное художественное*

изданіе **Ѳ. И. БУЛГАКОВА**

**ВЕНЕРА и АПОЛЛОНЪ**

въ живописи и скульптурѣ.

(Два исконныхъ идеала красаты женской и мужской).

**40 фотофравюръ** in-folio

Съ наилучшихъ произведеній 35 знаменитѣйшихъ художниковъ идеальныхъ школъ греческаго искуства и эпохи возрожденія, изъ европейскихъ музеевъ.

Съ пояснительными описаніями произведеній и біографіями ихъ авторовъ

**въ восьми выпускахъ.**

**Первый выпускъ выйдетъ 15 мая 1898 г.**, а остальные семь въ теченіе четырехъ слѣдующихъ мѣсяцевъ по два выпуска ежемѣсячно —1-го и 15 числа.

**Цѣна только по подпискѣ 16 р.**, съ пересылкой—20 р.

Подписка принимается только на 300 экземпляровъ во редакціи «Новаго журнала Иностранной Лигературы» (С.-Петербургъ, Конногвардейскій бульваръ; 13) и въ книжномъ магазинѣ «Новаго Времени», (С.-Петербургъ, Невскій, 38.)

Допускается разсрочка: при подпискѣ уплачивается 2 р. и при полученіи каждаго выпуска по 2 р. (послѣдній—8-й—выпускъ безплатно). Иногородніе уплачивая при подпискѣ 5 р. и при полученіи каждаго изъ первыхъ шести выпусковъ по 2 р. 50 к. и по 10 к. за наложенный платежъ (седьмой и восьмой выпуски безплатно);—благоволятъ адресоваться къ **Ф. И. Булгакову** (СПБ. Конногвардейскій бульваръ, 13).

**Отдѣльно выпуски не продаются.** (15—6)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27-го Апрѣля 1898 г.

სტამბა „ცნობის ფურცლისა“ (ვ. გუნიასი) სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ.

რედაქტორ-გამომცემელი **ვალ. გუნია**